1877—1897

№ 19

პარასკევი, 7 თებერვალი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 19

პარასკევი, 7 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

## „ივერია“

გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 2 თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 „ — — — — | 6 | „ |
| 11 „ — — — — | 9 | 50 | 5 „ — — — | 5 | 50 |
| 10 „ — — — — | 8 | 75 | 4 „ — — — | 4 | 75 |
| 19 „ — — — — | 8 | „ | 3 „ — — — — | 3 | 50 |
| 8 „ — — — — | 7 | 25 | 2 „ — — — — | 2 | 75 |
| 7 „ — — — — | 6 | 50 | 1 „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სამე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . 2 მ. კ.
აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . 3 „ „
აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . 60 კ.—80 კ.
წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . 25 კ—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას.

### მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა: თიონეთის მაზრის სოფ. საგირთას მცხოვრებელი ალექსანდრე ცისკარაშვილი—თიონეთის მაზრის პოლიციის სამმართველოს მესამე ხარისხის საკანცელარიო მოხელედ.

### გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე

როგორც წუხანდელმა დეპეშამ გვაცნობა, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწედ გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფრეზე დაუნიშნავს უმაღლესს მთავრობას. ბ-ნი ა. ა. ფრეზე შთამომავლობით ყაზანის გუბერნიის აზნაურია. დაბადებულა 17 ივნისს 1840 წლისას, სწავლა დაუმთავრებია სამთო ინჟენერთა ინსტიტუტში და შემდეგ ნიკოლოზის საგენერალო შტაბის აკადემიაში. პირველად სამსახურში შევიდა თურმე 1860 წ., როცა პარუჩიკის ხარისხით სამთო ინჟენერად იქმნა დანიშნული ალტაის ქარხნებში. 1872 წ. პეტერბურგს იქმნა გადაყვანილი პირველის გვარდიის დივიზიის შტაბის ადიუტანტად და ერთის წლის შემდეგ დანიშნულ იქმნა პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯართა შტაბის მდივნად. ოსმალებთან ომის დროს მონაწილეობას იღებდა ჯერ შტაბ-აფიცრის თანაშემწის ხარისხით, მერე შტაბ-აფიცრის ხარისხით. ამ დროს მრავალჯერ ისახელა თავი, განსაკუთრებით პლევნის აღების დროს, რისთვისაც ხელმწიფე იმპერატორმა გენერალ-მაიორობა უბოძა, მე-4 ხარისხის ორდენი წმ. გიორგისა და ოქროს ხმალი. 1880 წლიდგან იგი სემენოვსკის და ლეიბ-გვარდიის ეგერის რაზმის უფროსი იყო, ხოლო 4 მაისს 1887 წელს დანიშნულ იქმნა 2-რე არმიის კორპუსის შტაბის უფროსად, შემდეგ იყო კავკასიის ჯართა კორპუსის შტაბის უფროსად და 1891—1895 წლ. ერევნის გუბერნატორადაც. 1895 წ. გადაყვანილ იქმნა ვილნაში ამავე თანამდებობაზე.

ბ-ნმა ფრეზემ გენერალ ლეიტენანტობის ხარისხი 1894 წ. მიიღო. წარსულს წელს იგი ჟანდარმთა შეფის თანაშემწედ იქმნა დანიშნული, რომელი თანამდებობაც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობას უდრის, და დღეს-კი უმაღლესის ბრძანებით იგი დანიშნულია კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწედ, იმ ქვეყნისა, რომლის ცხოვრება და ავ-კარგი კარგად უწყის.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ გედევანოვის საბენეფისოდ წარმოადგინა კომედია—ფარსი: „ცოლ-ქმრობის ყვავილები“ და ვოდევილი: „შიშს დიდი თვალი აქვს.“ ორივე პიესა ძალიან ცოცხლად წარმოადგინეს ჩვენმა არტისტებმა. განსაკუთრებით კარგნი იყვნენ ქ ნი ჩერქეზიშვილისა, რომელმაც დიდის ხელოვნებით წარმოგვიდგინა პირველ პიესაში ქ-ნ ბონივარის, ამ ოდესღაც მოცეკვავე ქალის, როლი და ვოდევილშიაც მოხუცებულის დედაკაცის ფედოსია პეტროვნასი, ბ-ნი აბაშიძე და თვით მობენეფისე ბ-ნი გედევანოვი. წარმოდგენას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო. მობენეფისეს თეატრში დამსწრენი დიდის ტაშის

# ფელეტონი

—

### კავკასიის სამართლისა და ცხოვრების გარემოებანი.

(მოხსენება სენატორის ა. კონისა)

27 იანვარს პეტერბურგის იურიდიულს საზოგადოებაში რუსეთის ცნობილს სენატორს ა. კონის მოხსენება წაუკითხავს „კავკასიის სამართლისა და ცხოვრების გარემოებათა“ შესახებ. ამ მოხსენებამ ყველას ყურადღება მიიპყრო თურმე პეტერბურგშივე, რადგან კონის ადგილობრივ აქვს გაცნობილი ჩვენი ქვეყანა და კავკასიის სასამართლოს საქმეთა ავ-კარგიანობა. მოგვყავს შინაარსი ამ მოხსენებისა რუსეთის გაზეთებიდგან შესაძლებელის სავსებით, რადგან იგი ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ჩვენის მკითხველებისათვის.

კავკასიაო, უთქვამს პატივცემულს სენატორს, ძველადვე, მითურ არგონავტების დროს, მთელის კაცობრიობის ყურადღებას იპყრობდა. ეს ქვეყანა მდებარეობს ორთა ზღვათა შუა, რომელიც ერთი უფრო მაღლობზედ არის; ეს ის ქვეყანაა, სადაც მთანი დიდებულად გაწოლილან თავიდგან ბოლომდე, ევროპას აზიისაგან ჰყოფენ, მთანი, სადაც ხან სიცხე-პაპანაქებაა და ხან საშინელი ყინვა ჰმეფობს; ის ქვეყანაა, სადაც არარატიდგან, როგორც ძველთაგანვე თქმულია, კვლავ ჩამოვიდა ღვთისაგან შენდობილი კაცობრიობა და სადაც ყოველი ნაბიჯი საინტერესოა ისტორიკოსისათვისა, ლინგვისტისათვისაც, ანტროპოლოგისა, ტეხნიკოსისა და იურისტისათვისაც. რუს იურისტისათვის კავკასია ღირსია შესწავლისა ვითარცა ისეთი მხარე, რომელშიაც სასამართლო წეს-წყობილება თანდათანობით-კი არ აგებულა, მკვიდრთა ისტორიასა და ზნე-ჩვეულებაზედ დაფუძნებული, არამედ იგი ერთბაშად ნამყნობია.

ამ თვალით თუ შევხედეთ ამ ქვეყანას, შესანიშნავად გვეჩვენება მისი განსაკუთრებული ზნე-ჩვეულება, განსაკუთრებულობა კანონისა, განსაკუთრებულობა სასამართლოს მოღვაწეთა მდგომარეობისა.

ზნე-ჩვეულება ამ ქვეყნისა თავისებურად შემდგარა. მაშინ, როდესაც რუსეთის მკვიდრთა უმეტესობა გაშლილს, ვაკე ადგილას დასახლებულა, კავკასიის ხალხნი, აჭრელებულნი და ხშირად ერთმანერთის უცხონი, მთებში შეხიზნებულან. ეს ერთი-კი არა, სხვა-და-სხვა თესლის ხალხია, რომელნიც ხშირად ერთმანერთისათვის გაუგებარის ენითა ჰლაპარაკობენ და რომელთაც სხვა რწმენა, სხვა ზნე, სხვა ჩვეულებანი აქვთ: ამ ქვეყნის მკვიდრთა ზოგიერთს ნაწილს ეტყობა ქალაქის მცხოვრებთა კანონიერობა თავისის ნაკლ-ღირსებანით, ზოგს განსხვავებული ეროვნული ზნე-ხასიათი შერჩენია, ზოგს—მამა-პაპური და, დასასრულ, ზოგთა შორის, მაგალითებრ, იმ მიუვალს ადგილებში, სადაც არწივნი ჰბუდობენ,—პირველ-ყოფილი წეს-რიგი ჰმეფობს. ამ ზნე-ჩვეულების საფუძველთა ჭრელობის მიუხედავად, ყველასათვის ერთ გვარი სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებანია დაარსებული, კანონი ყველასათვის ერთი და იგივეა. ერთის ხალხისათვის თუ ადვილად მისახვდომია ეს კანონი და შესაფერი მისის სამართლიანობის აზრ-მსჯავრისა, მეორეს მისი შეგნება არ ძალ-უძს, ხოლო მესამის ზნე-ჩვეულების მოთხოვნილებას-კი ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც. ამის გამო ხშირად უთანხმოება არსებობს კანონსა და ცხოვრებას შუა და კანონი უსამართლოდ ჰმოქმედებს ცხოვრებაში. ამ აზრის დასასურათებლად კარგს მაგალითობას გაგვიწევს იარაღის ტარების საქმე. სისხლის სამართლის კანონი იარაღის ტარებას სთვლის ისეთ გარემოებად, რომელიც დანაშაულს ამძიმებს და ხანდახან დანაშაულს თვისებასაც უცვლის: ძარცვა თუ იარაღიანის კაცისაგან არის ჩადენილი, იგი ავაზაკურ აკლებად ითვლება, თუნდა იარაღიც არ ეხმაროს,—უბრალო წინააღმდეგობა მოხელეთა იარაღიანის კაცის მიერ ჩადენილი კატორგით ისჯება; ქურდობას იარაღით უფრო სასტიკადა სჯის კანონი, ვიდრე უიარაღოდ. ასე უყურებს კანონი და სასამართლოც ასე უნდა უყურებდეს. ამასობაში კავკასიელი თითქმის იარაღით იბადება. საუკუნეთა მიერ განმტკიცებულ ჩვეულების ძალით იარაღი მისი ორგანული კუთვნილებაა და საგვარეულო ძვირფასი ნაშთი. იგია მოწმე მისის კეთილ'შობილებისა და სამკაული მისის ტანთსაცმელისა. ხშირადა ჰნახავთ კავკასიელს დაგლეჯილ-დაფლეთილს მაგრამ ამ ღარიბს ტანისამოსზედ ძვირფასი, შევერცხლილი იარაღი აკრავს და იგია მისი საგვარეულო თავმოსაწონებელი. კანონთა კრებულის მე-XIV ტ. მე-218 მუხ. აღკრძალულია იარაღის ტარება, მაგრამ კავკასიაში ამ კანონს არავინ ასრულებს. ადმინისტრაცია იარაღის ტარებას ხმაამოუღებლადა ჰმფარველობს, ხოლო სისხლის სამართალი იარაღის ტარების გამო სასჯელს აორკეცებს. ამიტომ კავკასიაში არ არის მაგალითი უბრალო წინააღმდეგობისა, უბრალო ქურდობისა, უიარაღო ძარცვისა და სხ. ყველა ეს დანაშაული შემძიმებულია იარაღის ტარებისა გამო. ამ კანონსა და ზნე ჩვეულებას შორის განსხვავებისა გამო მკვიდრნი უფრო მძიმე სასჯელს იხდიან და ამან არ შეიძლება არ აამღვრიოს სინიდისი მოსამართლისა.

ამავე დროს ამ ჩვეულებას კავკასიაში სისხლის ღვრის სიმრავლე მოსდევს. იარაღია მიზეზი, რომ კავკასიაში კაცის მოკვლა, დაჭრა, დაშავება საერთო დანაშაულის 23—25%-ს შეადგენს; რომ ხშირად უბრალო წაკინკლავება სისხლის მღვრელ ჩხუბად გადაიქცევა ხოლმე. იარაღი ხელს უწყობს აწინდელს კავკასის გამათახსირებელს წყლულს—ავაზაკობას. ავაზაკთა ბრბოს ყოველთვის იმედი აქვს, რომ დაეხმარებიან შეიარაღებულნი კაცნი ან შიშისა და ან თანაგრძნობისა გამო. ამიტომ ავაზაკობას თითქმის ვაჟკაცობის ხასიათი აქვს. ავაზაკთან მთელი ომია გამართული, მაგრამ იმათ მაინც შიშში ჰყავთ ზოგი და ზოგსაც ჰხიბლავენ თავისის სიმამაცით. მაშინ, როდესაც რუსეთში ავაზაკი იმალება, პირი-სახეზედ ნიღაბს იფარებს, რომ არ მიცნონო, და, ჩაიდენს თუ არა ბოროტ-მოქმედებას, გარბის, კავკასიაში ავაზაკი დაუფარავად, აშკარადა ჰმოქმედობს. მუღანის მინდორზედ, კავკასიის საზღვართა შორის, ავაზაკები აშკარად დაეცნენ თავს მთავრობის მიერ გაგზავნილს სამეცნიერო ექსპედიციას, დასჭრეს და გაძარცვეს ხალხი, თავს ესხმევიან რკინის გზის სადგურს, თოფებს ესვრიან მატარებელს, გარს ერტყმიან ინგლისის ქარხანას, რომელსაც შემდეგ ანადგურებენ კიდეც. სოფლად ისინი მოურიდებლად და თავ-მომწონედ დადიან, პირდაპირ მამასახლისს ესტუმრებიან; აქ ღვინოსა და სა-

ცემით მიეგებნენ და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

*** დღეს, პარასკევს, 7 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია სადიფამაციო საქმე ქ-ნის სლივიცკისა, რომელიც უჩივის გაზ. „კავკაზ“-ის თანამშრომლად მყოფს ა. მ. ახნაზაროვსა და ქ-ნს აფუტინისას, რომ გაზ. „კავკაზ“-ში ცილი დამწამესო. ამ ამბავის გარემოებასა და აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილებას ხვალ ვაუწყებთ მკითხველებს.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ი. პ. როსტომაშვილის მიერ გამოცემული რვეული სურათებისა „ქართველთა ტომი.“ ამ რვეულში დასტამბულია, სახეები: ქართლელთა, კახელთა, ინგილოთა, თუშ-ფშავ-ხევსურთა, იმერთა, მეგრელთა, სვანთა, მესხთა და ჭანთა ანუ ლაზთა, სურათები იმათის ცხოვრებისა და სხ. რვეულში მოქცეულია ასზედ მეტი სხვა-და-სხვა სურათი, რვეული შეიცავს დასურათებულს ფურცელს და მშვენიერის ყდითა და გაგზავნით ჰღირს 5 მან. ნახატები, სამწუხაროდ, უმეტესად მკრთალად არის გამოსული და ამიტომ 5 მან. მის ფასად, ცოტა არ იყოს, ძვირად უნდა ჩაითვალოს.

*** მთავრობის მიერ აღძრულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ განსაზღვრული ნიხრი წარმოადგინონ ჯვარის წერისა მღვდლების დასაჯილდოვებლად. ეს ნიხრი მოჰსპობს იმ ვაჭრობას, რომელიც ხშირია მღვდელსა და ჯვარის დამწერის მსურველთა შორის.

*** სამშაბათს, 2 თებერვალს, საავადმყოფოში მოიყვანეს ერთი მუშა-კაცი, რომელიც საოფლეთი იყო ავად. გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ ეს სენი გადასდებია კორჟალოვის ტრაქტირში, რომელიც საპიორების ქუჩაზედ იმყოფება. ამავე დუქანში მეორეც გახდა საოფლეთი ავად. ამ შენობას უკვე სამჯერ ასხურეს დეზინფექცია, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა. ამისთვის საჭიროა, ამბობს „ტფ. ფურც“, დროებით მაინც დაიკეტოს ეს ტრაქტირი და რიგიანად ესხუროს დეზინფექცია, როგორც თვით შენობას, ისე ეზო კარ-მიდამოსაო.

*** 15 იანვრიდგან კავკასიის რკინის გზაზედ ტფილისში დაარსდა მეისრეთა და კონდუქტორთა სასწავლებელი.

*** როგორც ატყობინებენ გაზეთ „კასპ.“-ს პეტერბურგიდგან, ამ მოკლე ხანში მთავრობა შეუდგება იმ საგნის განხილვას, თუ რა საშუალებანი იხმაროს კავკასიაში ავაზაკობის წინააღმდეგაო.

*** ამ დღეებში ბაქოში კიევის სამრეწველო ბანკის განყოფილება დაარსდა.

*** გაზ. „ახ. მიმოხ.“ დეპეშით აუწყებენ, რომ ტფილისის მესამე ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი კრეისბერგი დანიშნულ იქმნა ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის დირექტორად, ხოლო ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის დირექტორი გადაყვანილ იქმნა ტფილისისავე მესამე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორადაო.

*** ჩვენ ამას წინად გვქონდა ნათქვამი, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ერთი მოსწავლე გამხდარა ავადაო. აი ამის შესახებ რა ცნობა მისვლია გაზ. „ახ. მიმოხილვას“: მართალია, 25 იანვარს ერთი მოსწავლე გახდა საოფლეთი ავად — ვასილ ხიდირბეგიშვილი. როგორც-კი გამოირკვა სენი, მაშინვე საჭირო ღონის ძიებანი იქმნა მიღებული: ავამყოფი სრულიად განცალკევებულია სხვათაგან, ასე, რომ ეხლა არავითარი მისვლა-მოსვლა პანსიონისა და საავადმყოფოს შორის არ არსებობს. საავადმყოფოს საკუთარი ექიმი და მისი თანაშემწე ჰყავს. ვინიცობაა, რომ სხვა სენით გახდეს ვინმე ავად, ამისათვის საავადმყოფოში ცალკე განყოფილებაა მიჩენილი. ეს ერთად ერთი შემთხვევა იყო და სრულიად უსაფუძვლოა ის შიში, რომ ამ ავადმყოფობამ გადამდებ სენის ხასიათი დაიჭირა, რადგან 25 იანვრიდგან ვიდრე აქამომდე არც ერთი მოსწავლე აღარ გამხდარა ავადაო“.

*** ბ-ნმა ფარინამ უკვე შეადგინა სადიდმარხვო საოპერო დასი იტალიური, რომელიც ტფილისის სახელმწიფო თეატრში გამართავს წარმოდგენებს. ამ დასში საუკეთესო არტისტები არიან მოწვეულნი, მაგალითებრ: დრამატიული სოპრანო — მასსი, კონტრალტო ზანონი, ლირიკულ სოპრანო სიბერი, დრამატიული და ლირიკული მომახილი (ტენორი) პოსენტინი, პარტიკა და ლანგონე, ბარიტონები — დელფინო — მენოტტი (გასტროლი) და ბელლამამბა, ბანი (ბასები) — ჩირატტი და ნიკოლინი. დერიჟორად მოწვეულია ბ-ნი ბარბინი, რეჟისსორად ივ. ფითოევი.

*** დ. ლაგოდეხი (სიღ. მაზრა) აქ 22 იანვარს, დილის ხუთს საათზედ, ძლიერი მიწის ძვრა იყო. ერთის საათის განმავლობაში ორჯელ იძრა მიწა. შეშინებული მცხოვრებლები სახლებიდგან გამოცვივდნენ. 23-ს იანვარს მიწის ძვრა განმეორდა. 24 იანვარს საღამოს 9 ს. და 40 წ. კიდევ შეეტყო ნიადაგს რხევა. მცხოვრებლებს შიშით ღამე აღარ სძინავთ.

*** ქუთაისი. ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ვისაც პირველის ხარისხის ბანქო სჭირია, მიჰმართონ ამ სასწავლებელს, რომელიც ბანქოს იმავე ფასად ჰყიდის, როგორც ქუთაისის ვაჭრები ჰყიდიან, — რითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენენ სასწავლებელსაო.

*** ხელ-მოკლე ქართველ აზნაურიშვილის სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ ბათუმიდგან ბ-ნ მ. დავითაშვილისაგან 1 მან. და ქ-ნ მარიამ თუხარელისაგან — 1 მან. 30 კაპ.

---

## თეატრის მატიანე

ბენეფისი გ. კ. გედევანოვისა.

გუშინწინდელ, 5 თებერვლის, წარმოდგენა ერთი იმათგანი იყო, რომლის შესახებაც „ჰო“-ც ითქმის და „არა“-ც და ორივე ნათქვამი მართალი იქნება. ეგ იმისაგან არის დამოკიდებული, ვინ რა თვალთა ხედვის ისარით ასწონა და გაზომა ეს წარმოდგენა, ვის რისი მოლოდინი ჰქონდა. ან რა უჭირდა წარმოდგენას? მადლობა ღმერთს, ამ ხელად როლები დაესწავლათ მსახიობთ, რეჟისორს თავისი მეცადინეობა არ დაეკლო, თითქმის ერთი მეორეზედ უკეთესად არდგენდა, თითოეული ცალკედ და ყველა ერთად კარგი იყო და საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა, უკეთ ვსთქვათ, უნდა დაბრუნებულიყო, რადგან ბევრი იცინა, ბევრი იკასკასა და საკმაოდ იმხიარულა.

დიაღ, კარგად ჩაიარა გუშინწინდელმა წარმოდგენამ, მეტად კარგადაც-კი, ისე, როგორც ჩვენის სცენის მსახიობთ არც-კი სჩვევიათ, ბევრი ვისიამოვნეთო, იტყვის ამ წარმოდგენაზედ მყოფი და სხვას ვეღარას დაუმატებს. ასეთს წარმოდგენას „ნერვების სალიტინებელი წარმოდგენა“ უნდა დაერქვას, რადგან იმის ნახვისა და მოსმენის შემდეგ მარტო ყბების ტკივილსა ჰგრძნობს ადამიანი, ბევრის სიცილით გამოწვეულს, და სხვა არა-რას. თუ მარტო ამისი მუშტარია წარმოდგენის დამსწრე, რასაკვირველია, იგი სრულიად კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ თუ ამასთან გულსა და გონებასაც შეეკითხა; თუ მსახიობთა მიერ კარგად და ხელოვნებით გარდმოცემულ გარდმონაცემის ღირსებასაც მოუნდომა ფასის დადება; თუ მელპომენის ტაძარს მარტო უსაგნო, უაზრო სიცილ-ხარხარის სავაჭრო ადგილად-კი არა სთვლის, არამედ სცენისაგან გულისა და გონების განმასპეტაკებელს ამბავს, ცხოვრების ავ-კარგიანობის გამათვალისწინებელს სურათებს მოელის, მაშინ ეს მოლოდინი არ გამართლებია და იგი 5 თებერვლის წარმოდგენის შემდეგ ყბების ტკივილთან ერთს სხვა რასმესაც იგრძნობდა, და ეს სხვა რამე იქნებოდა გრძნობა უკმარობისა, გრძნობა წყენისა, გამოწვეული სცენის, ამ „ზნეობისა და გონების განმავითარებელ სასწავლებელის“, ასეთ წვრილმანებზედ დახურდავებისა და ასე დაკნინებისა გამო.

რა არის თავისდა თავად პიესა „ცოლ-ქმრობის ყვავილები“, თუ არ ერთი სასაცილო ამბავი, ლამაზად დაწერილი, სამ მოქმედებად განაწილებული და სხვა-და-სხვა სასაცილო, მაგრამ უაზრო მოულოდნელობით შეზავებული ადამიანის ყურისა და თვალის მოსაცდენად და გულისა და გონების მისაძინებლად. ასეთი ფარსი, დაბალის ხარისხის კომიზმით აღსავსე, მით უფრო, როცა საგანი ამ კომიზმის მიერ სასაცილოდ აღებული ეჩოთირება ადამიანის ზნეობრივს თავდაჭერილობასა და კდემა-მოსილებას, უკანონო შვილია დრამატიულის, სასცენო ხელოვნებისა, უძღები ძე, ბაზარ-დუქანში გარყვნილი და გასალახანავებული. იგი უნდა განიდევნოს დრამატიულის ლიტერატურიდ-

---

ჰმელს შესთავაზებენ ხოლმე ავაზაკებს, ქალები მოჰყავთ მათდა შესაქცევრად. შველა და დახმარება ყოველთვის იგვიანებს ხოლმე, რადგან იგი ცუდად არის მოწყობილი, როგორც საშუალებათა უქონლობისა, ისე მანძილის სიდიდისა გამო. ავაზაკები ხშირად თავისუფლად დათარეშობენ და თუ ჩაუვარდებიან ხელში პოლიციას, ესეც არაფერია, რადგან პატიმართა გაქცევა ჩვეულებრივი მოვლენაა. ავაზაკი ტატო წულიკიძე სამჯერ დაიჭირეს, მაგრამ ორჯელ გაექცათ და ამ დროს 14 ავაზაკობა და 3 კაცის-კვლა ჩაიდინა. ხშირად გაიგონებთ, რომ ესა თუ ის თვალ-საჩინო ავაზაკი გაიქცა საპატიმროდგან, ან დარაჯს გაუსხლტა ხელიდგან სასამართლოში საქმის განხილვის დროსაო. ალი-ბეგის ციმბირში წასაყვანად მთელის ჯარის დაბარება და რკინის გზის ლიანდაგზედ გამწკრივებაც-კი დასჭირდათ. ეს ასეა და ამასთან გვერდით ჰმუშაობს მანქანა კანცელარიისა, რომელიც ავაზაკობათა კვალის შესწავლასა და მიწერ-მოწერას უნდება. ასეთი ვითარება საქმისა უცნაურს აზრს და შეხედულობასა ჰბადებს. ამ მდგომარეობის მოსასპობად ერთის მხრივ სამჯობინოდ ჰხადიან ფულს დაჰპირდნენ ავაზაკთა მომკვლელს, მეორეს მხრივ ადგილობრივი გაზეთები, თითქოს დაიცინებოდნენო, ჰბეჭდავენ წერილებს: „კავკასიაში ავაზაკობის საქმის განკარგებაო“. იარაღის ტარება ავაზაკობისაგან არავის იფარავს, რადგან თავის დაცვა ამ იარაღით ფიქრადაც არავის მოსდის, ხოლო იგივე იარაღის ტარება განსხვავებასა ჰბადებს კანონსა და ცხოვრებას შორის. ხოლო ბაქოს გუბერნატორისა და თერგის ოლქის ადმინისტრაციის საყოველთაო ბრძანებამ იარაღის ტარების აკრძალვის შესახებ კეთილი ნაყოფი გამოიღო და იმედი უნდა გვქონდეს, რომ თუ ცოტაოდენი მხნეობა იქმნა ხმარებული, მთელს კავკასიაშიაც ვეღირსებით იარაღის აყრას.

კანონი და ზნე-ჩვეულება ხალხისა ისე ეწინააღმდეგება ერთმანერთს, რომ მათი ერთად მორიგება შეუძლებელია. ყუბანისა და თერგის ოლქებში, სადაც მთიულთა სასამართლოები ჯერ არ გაუქმებულა, მორიგება კიდევ შესაძლებელია კანონსა და ჩვეულებას შორის, მაგრამ ამიერ-კავკასიაში-კი, სადაც სახელმწიფო სასამართლო ჰმოქმედებს, უთანხმოება და გაუგებრობა ხშირია და მუდმივი. მაგალითებრ, ბევრგან ქორწილი მორიგებითა და თანხმობით ჩვეულებად არ არის — მოტაცებაა საჭირო. საქმრომ უეჭველად უნდა მოიტაცოს თავისი საპატარძლო, რომელსაც ამისი მოლოდინი აქვს კიდეც; მშობლებმაც უეჭველად უნდა იჩივლონ, იმავე ჩვეულების ძალით, და სთხოვონ სამართალს იმათის ქალიშვილის გამტაცებელის დასჯა. ბოლოს კი, იმ დროს, როდესაც ახალი მონათესავენი უკვე მორიგდებიან და მხიარული საქორწილო მეჯლისი გაიმართება, გამომძიებლისაგან უწყება მისდით და აცნობებს, რომ საქმრო სამართალშია მიცემული გასათხოვარის ქალის მოტაცებისათვისაო. მშობლებს ერთი-ღა დარჩენიათ — ან უარი უნდა განაცხადონ თავისსავე საჩივარზედ და სამართალში იქმნებიან მიცემულნი უბრალოდ დაბეზღებისათვის, ან თავი დაუდონ თავისს ტყუილს საჩივარს, და მაშინ გაჩნდება მთელი საქმე, აბნეულ-დაბნეული, დახვლანჯული და ცრუ-მოწმობით შეზავებული.

ცხენის პარვა მრავალ კავკასიელთა შორის ჩვეულებაა და სასახელო, თავმოსაწონებელი საქმე. ბევრს მთიანს ადგილას არც ერთი ქალი არ მისთხოვდება ყმაწვილს კაცს, თუ ამ მხრივ თავი არ ისახელა და არ მიიღო მოწმობა „ვაჟკაცობისა“, სასამართლო-კი ასეთს საქციელს დანაშაულობად სთვლიდა და 1880-დგან 1887 წლამდე ყოველს ცხენის ქურდს ერთ გვარად სჯიდა. მხოლოდ 1887 წლიდგან ცხენის ქურდობის საქმენი კვლავ ადგილობრივს სასამართლოს გარდაეცა.

სისხლის ძიების ჩვეულებას ისე მაგრად აქვს ფესვი გადგმული, რომ ვერც ერთი კანონიერი სასჯელი ვერ აღმოფხვრის და მხოლოდ განათლებასა და ზნეობრივს ზედ-მოქმედებას შეუძლიან მისი შესუსტება. ღრმადა აქვს ფესვები გადგმული ამ ჩვეულებას იმიტომ, რომ იგი თავისებურის პოეზიითაც არის შემკული.

ცრუ მოწმობა ძალიან არის გავრცელებული. საქმის მოძრაობასთან ცრუ-მოწმობაც იზრდება და ჰმატულობს და მოსამართლე დიდს გაჭირვებაშია, სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ვერ მიუგნია. მიზეზიც ეს არის, რომ ხშირად მოსამართლეთა განაჩენი სასამართლოში საქმის განხილვის ოქმს არ შეეფერება. ტყუილი ბეზღობაც ხშირია და მრავალი.

ხვა-და-სხვა ხალხთა ენის სხვა-და-სხვაობა აღტაცებაში მოიყვანს ფილოლოგს, მაგრამ იურისტს-კი ეს გარემოება სასოებას უკვეთს. უმთავრესი ბოროტება მთარგმნელია, თარჯიმანია, საქმის გამახიახებელი და სასამართლოში საქმის სიტყვიერად გარჩევის მომსპობი. მოწმეს ჩვენება, რომელსაც სასამართლოზედ დიდი გავლენა აქვს, იკარგება და ძნელია თარჯიმანის შემოწმება. მართალი ჯერ მოენეს (მთარგმნელის) ყურში გადასხვაფერდება ხოლმე, ამ განუვითარებელისა და ადვილად მოსასყიდველის კაცის ყურში, და მერე ისე მიაღწევს სასამართლომდე. ხშირად ორი და სამი მოენეა და საქმის ნამდვილნი გარდამწყვეტელნი ისინი არიან, რადგან სასამართლოს განაჩენი იმათს თარგმანზეა დაფუძნებული.

მოსამართლე ისეთს ვითარებაშია იქ, კავკასიაში, რომ იმისი სამსახური სწორედ ღვაწლად ჩაითვლება. მართალია, მოსამართლეს იქ უფრო მეტი ჯამაგირი ეძლევა და ყოველ ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ემატება ჯამაგირი, მაგრამ კიდეც ეს უშლის ხელს, რომ განახლდეს სხვა რაიმე მოღვაწეობით და ამითი ისარი თვალთა ხედვისა განიდიდოს. ამავე დროს მოსამართლეს არც ჰავა და ადგილ-მდებარეობა უწყობს ხელს. სამსახურის ასრულება სიცხე პაპანაქებაში, ცხენით გადასვლა მდინარესა, მთებსა და უფსკრულებზედ, უვარგისობა გზებისა, საძაგელი საჭმელი ჰუჰყიანსა და უსუფთაო დუქნებში, თოვლ-ბუქი და ზვავთა ჩამოწოლა — ყოველისავე ამის გამო იმისი სამსახური, სამსახური-კი არა, ღვაწლია, სასამართლოს საქმის სასახელოდ და სადიდებლად დადებული.

შემდეგ ვრცლად მოიხსენია რა სასამართლოს საქმეთა წარმოების კანონების განსაკუთრებულობა კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში, ბ-ნი კონი'მ დასკვნას დაადგა, რომ შეიძლება ჩრდილოეთი კავკასია ორ სასამართლო ოლქად განაწილდეს. იქ ნიადაგი უკვე მომზადებულია სასამართლო საქმეთა წარმოების ახალის კანონებისათვის, ე. ი. სტავროპოლის გუბერნიასა და ყუბანის ოლქში შეიძლება შემოღებულ იქმნან ნაფიცნი მსაჯულნი, რადგანაც იქ რუსნი მკვიდრნი უფრო ბევრი არიან, ვიდრე მთიელნი, რომელნიც 10%-ზედ ნაკლებს რაოდენობას შეადგენენ.

გან, ვითარცა ჭირიანი რამ, გადამდები სნეულება, მოვლენილი ხალხთა სავნებელად და არა სასარგებლოდ.

შექსპირი ერთს თავისს პიესაში ამბობს, რომ მთელი ქვეყანა სასცენო ასპარეზია და ხალხნი მხოლოდ მსახიობნი არიანო. ამის კვალადვე ვიტყვით ჩვენ: სასცენო ასპარეზი მთელი ქვეყანაა და მსახიობნი ხალხნი არიან, ამ ქვეყანაზედ მომქმედნი. თუ ასეა, მაშ სცენა დამახასიათებელი, ცოცხალი სურათი უნდა იყოს ჩვენის ცხოვრებისა, აღმნიშვნელი მისის ცუდისა და კარგისა და ამ ავ-კარგს ისეთი სინათლე მიაყენოს, რომ ჩვენის ცუდის, სიდუხჭირის დანახვებით გული კარგსა და კეთილს მოანადირებინოს და ამითი განასპეტაკოს იგი, განსწმინდოს ცხოვრების მიერ მიცხებულ ჭუჭყისა და ჩირქისაგან. აი ამ ადლ-საზომით უნდა იყოს ჩვენი დრამატიული კომიტეტი აღჭურვილი და უმეტესად ჩვენის ცხოვრებიდგან აღებულს, ჩვენის ავ-კარგიანობის აღმნიშვნელს პიესებს ეტანებოდეს, თუ მართლა ჰსურს სიკეთე მოუტანოს ხალხს და სიამოვნება აგრძნობინოს. რასაკვირველია, აქ „ჩვენი“ სრულიად არა ჰყოფს უარს სარგებლობას უცხო ენაზედ დაწერილ ახალ პიესების თარგმანისას, მაგრამ აქაც ეს უცხო პიესა დაახლოვებული უნდა იყოს ჩვენს ცხოვრებასთან რითიმე. ამიტომ იტყვიან ხოლმე: „კარგი პიესაა, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერება, ჩვენს გულსა და გონებას არას ჩვენის ავ-კარგისას არ ეუბნებაო“.

მალოროსთა სცენა იმითი იზიდავს ყველას ყურადღებას, მან იმითი გამოიჩინა ნიჭი სიცოცხლისა, იმის წყალობით მოიკიდა ისე მაგრად ფეხი და სულ მცირე ხნის განმავლობაში გაიზარდა, გაიფურჩქნა, სათაყვანო და სასიამოვნო გახდა არა-მალოროსთათვისაც-კი, რომ იგი ისტორიაა წარსულისა და აწინდელის დროის მალოროსთა ცხოვრებისა, იმათის ჭირისა და ვარამის გამომთქმელია, იმათის ბუნებისა და გუნების გარეგანისა და შინაგანისა გამომხატველია. მალოროსიელთა დრამატიული დასი, რომელშიაც ამ ჟამად არა ერთი და ორი ფრიად ნიჭიერი არტისტი ითვლება, თავისს კერას, თავისს ტურფა მალოროსიას, თავისს მოძმეს არა ჰშორდება, იგი სარკეა ამ ცხოვრებისა, სარკე, სწორესი და მრუდეს უტყუარად მაჩვენებელი, და ამითია კიდეც დიდებულ, ამის გამოა საყვარელ და სხვათა უცხოთა თანაგრძნობის მომპოვებელ. მალოროსმა არტისტმა კარგად იცის, რომ ჩვენს პიესას ბევრი ნაკლი აქვს როგორც დრამატიულს ნაწარმოებს, რომ უცხო ენაზედ ბევრი რამ კარგია შექმნილი ნიჭიერთა მწერალთა მიერო, მაგრამ იგი ამას არ ეტანება, „ჩემი ცუდი მირჩევნია სხვის კარგსაო“, ამბობს, და რაოდენადმე მართალიც არის.

ჩვენი არტისტები-კი ჩვენსას განშორებიან და უცხო პიესებით გვკვებავენ, ისეთის პიესებით, რომელსაც ჩვენი არა სცხია რა, სრულიად სხვა ნიადაგზედ, სხვა ცხოვრების ვითარებაში შეუსხამს სული და ხორცი და, რასაკვირველია, ამის გამო ვერც მიუნადირებიათ ჩვენი გული, ვერ იზიდავენ ქართველს ქართულ თეატრში, სადაც ქართული არა არის-რა, სიტყვების რახა-რუხის მეტი (მაგრამ უმეტესად ხომ არც ეს არის ქართული). „საცა არა მკბენს, იქ არც მეფხანებაო“, ამბობს გონიერი გლეხური ანდაზა. იქ, სადაც სათავისო არა მოელის-რა, არც ჩვენს კაცს გაუწევს გული დ სურვილი. აქ ჩვენი ცხოვრება დ ჩვენი სცენა იმდენზედ დაჰშორებიან ერთი-ერთმანეთს, რომ როცა მთელს დღეს ცხოვრების ავ-კარგიანობაში ციბრუტსავით მბრუნავი ადამიანი ესწრება ქართულ წარმოდგენას, სულ სხვა ქვეყანაში, სხვა ხალხთა შორის ამოჰყოფს ხოლმე თავს და ეს უცხო, რასაკვირველია, უცხოდ ეჩვენება, იგი იმისს გულს ვერ გაათბობს, ვერ შეატოკებს და თანაგრძნობის ტკივილს ვერ აგრძნობინებს.

ამ გვარად ჩვენს დრამატიულს სცენას მართალის გზისათვის გადაუხვევია და სწორედ ეს არის მიზეზი იმისთანა პიესების წარმოდგენისა, როგორიც გახლავთ „ცოლ-ქმრობის ყვავილები“. ფარსი შეჰქმნა მე-XV საუკ. პარიზის, ამ ახალის ბაბილონის, გარყვნილების მორევში მცურავ, სულით დაკნინებულ და ხორცით გალაღებულ არისტოკრატთა დუხჭირმა ცხოვრებამ და გონიერთა კაცთაგან იგი ამ ჟამად თავისს სამშობლოშიაც-კი დევნილია და განკიცხული. დრამატიულ ხელოვნების ამ მყრალ-სუნიანის ყვავილის ჩვენში გადმორგვა და გადმოყნობა დიდი შეცდომაა ჩვენგან, ისეთი დიდი, რომ იგი სამარეს გაუთხრის სამშობლო სცენას, იგი შეიქმნება მისი სულთამხუთავი.

რაც უფრო ჩქარა მოიხედავს და გამობრუნდება ჩვენი დრამატიული სცენა ამ გზიდგან, რაც უფრო მალე შეიგნებს თავისს ამდენის ხნის შეცდომას, რაც სწრაფად შეუდგება ჩვენის ცხოვრების ავ-კარგის აღნიშვნას, თუნდა მკრთალად და სუსტადაც-კი, მით უფრო ჩქარა გაცოცხლდება იგი, ჩქარა გარდიქცევა თავისის ერის სულიერად და ზნეობრივად განმასპეტაკებელ ნაყოფის გამომღებელ ხედ კეთილისად და ჩქარა შეიძლებს თავ-მოწონებით თქმას ამისას: „მე უტყუარი სარკე ვარ ჩემის ერის ცხოვრების ავისა და კარგისა, წუხილისა და სიხარულისა და მაჯა ჩემის ერის სიცოცხლისა ჩემთან ერთადა სცემსო“.

ეს არის ერთად-ერთი გზა მისის კეთილდღეობისა, ამ გზის გარეშე მას სიკვდილი მოელის, სიკვდილი სამარცხვინო, სიკვდილი უნათესავო, ყარიბის კაცისა, რომელსაც დამტირებელი და გულ-შემატკივარი არა ჰყავს.

მანოელიძე

## ქალაქის საბჭოს კრება.

5 თებერვალი

ამ დღეს განსახილველად ათი საგანი იყო დანიშნული. თავდა პირველად შეუდგნენ გამგეობის მოხსენების განხილვას: შავი ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ. ეს მოხსენება სულ 19 მუხლს შეიცავს: 1) უნდა შესდგეს 26 სასანიტარო რაზმი; თითოეულ რაზმში იქმნას: ერთი ხმოსანთაგანი სასანიტარო მზრუნველად, ხოლო თუ ხმოსანი უარს განაცხადებს, გამგეობამ სხვა ვინმე უნდა მიიწვიოს, მზრუნველის ორი თანაშემწე მისგანვე მოწვეული და გამგეობისაგან დამტკიცებული, და ერთიც პოლიციის მოხელე. სასანიტარო დასი იხელმძღვანელებს გამგეობის მიერ დადგენილის წესებით. 2) თუ დასჭირდა, სასანიტარო მზრუნველ მაუნდა მიჰმართოს საბჭოს ექიმს სადეზინფექციო სადგომს და ქალაქის ლაბორატორიას. 3) სასანიტარო დასის მოვალეობას შეადგენს თავისის უბნის სისუფთავეს თვალ-ყური ადევნოს და კერძო ქველ მოქმედების საქმე მოაწყოს. 4) ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებული კამიტეტი უნდა შესდგეს შემოწირულებათა მისაღებად, რათა ამ ფულით იაფ-ფასიანი ანუ უფასო სასადილოები გაიმართოს ღარიბთათვის. ქარხნების პატრონთ წინადადება მიეცეს, გააუმჯობესომ თავიანთის მუშების მდგომარეობა; ამ საქმეს თვალ-ყური უნდა ადევნოს სასანიტარო დასმა და საბჭოს ექიმებმა. 6) კარგად უნდა გასუფთავდეს მტკვრის ნაპირები და მთელი ქალაქი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის უფრო ბინძურს უბნებს. 7) აღკრძალულ იქმნას ფეინისა და ოჯახის ყოველისავე გამოუსადეგარ ნივთის მტკვარში ჩაყრა, არამედ ქალაქ გარედ უნდა იქმნას გატანილი; ქუჩის ნაგავი და ტალახი მტკვარში ჩაჰყარონ ისეთს ადგილას, საცა ჩქარა მიდის; ორმოებიდგან სიბინძურე მტკვარში არავინ უნდა გადაჰყაროს, არამედ ქალაქ-გარედ უნდა გაიტანონ ორმოებში დასამარხად. 8) ქალაქის მერვე ნაწილი გასუფთავდეს, რადგან ძალიან დაბინძურებულია, და ამასთანავე ნამალევად საქონლის ხოცვა მოისპოს; საკლავ საქონლის ბაზარი ეხლანდელ ადგილიდგან საყასბოს ახლოს უნდა იქმნას გადატანილი. 9) ღონისძიებანი იქმნას მიღებული საყასბოს გასასუფთავებლად. 10) მეტი ყურადღება მიექცეს ბაზრებში სანოვაგეთა ავ-კარგიანობას 11) ეხლავე იქმნას დაქირავებული კიდევ სამი ექიმი და სამიც ფერშალი 4 თვის ვადით. 12) იჯარით აღებულ იქმნას ერთი აბანო ღარიბთათვის მუქთად დასათმობად. 13) ღარიბ უბნებში მცხოვრებთ მუქთად მიეცეს წყალი. 14) სასანიტარო-საექიმო საბჭოში ლექციები იქმნას წაკითხული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდეს ადამიანი ამ სენს, რომ არ გადაედოს და წიგნაკები დაიბეჭდოს ამის შესახებვე რუსულსა და ადგილობრივს ენაზედ. 15) გამოწერილ იქმნას შავის ჭირისწამალი—შედედებული სისხლი და ტფილისშიაც დამზადდეს იგი სამხედრო-საექიმო ლაბორატორიის დახმარებით.

16) მოპოვებულ იქმნას სადეზინფექციო მასალა. 17) აშენდეს შავის ჭირით და საეჭვო სენით ავადმყოფთათვის ფარდულები (ბარაკები). 18) გამგეობას ნება-რთვა მიეცეს, რომ ქალაქის ახლო-მახლო ადგილების თვალ-ყურის სადევნებლად ორი სასანიტარო დასი შეადგინოს. 19) თუ შავი ჭირი მოგვიახლოვდა, გამგეობამ ახალი მოხსენება უნდა წარუდგინოს საბჭოს ამ სენთან საბრძოლველად ღონისძიებათა შესახებ.

ყოველივე ამისათვის გამგეობა სთხოვს საბჭოს 45,000 მანეთს.

წაიკითხა-რა ეს მოხსენება, ბ-ნმა ივანენკომ საბჭოს სთხოვა ეხლავე განიხილეთ თითოეული მუხლიო.

ქქ. ქოჩორაძევა. გამგეობის მოხსენების საგანი ერთობ დიდ მნიშვნელოვანია,—ამიტომ იგი უნდა დაისტამბოს და დაურიგდეს ხმოსნებს, რათა მისი ყოველ მხრივ შესწავლის შეძლება მიეცეს და მერე განვიხილოთ იგიო.

ეს აზრი საბჭომ არ შეიწყნარა და მოხსენების მუხლობრივ განხილვა არჩია.

ქქ. ავთანდილოვი: მოხსენების მუხლობრივ განხილვას რომ შეუდგეთ, ვერც დღეს და ვერც შემდეგ კრებაზედ ვერ მოვრჩებით და ეს ერთობ დააგვიანებს საქმეს. ჩვენ საჭირო ფულის დახარჯვის ნება მივცეთ გამგეობას და ის ისე მოიქცევა, როგორც რიგიაო.

ქქ. ვართანოვი: უნდა დაარსდეს 20 სასანიტარო რაზმი. თითოეულ რაზმში უთუოდ ექიმიც ერიოს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გასინჯოს ავადმყოფნი და შესაფერისი ღონისძიებანი იხმაროს. 20 რაზმისთვის ექიმები კიდეც გვყავნან, საბჭოში 15 ხმოსანი ექიმია, რომელნიც უთუოდ მონაწილეობას მიიღებენ რაზმებში, ამასთან ქალაქის თვით-მმართველობის ექიმთა პერსონალიდგანაც 4—5 ექიმი მივაშველოთ ამ საქმეს და ამ რიგად 20 ექიმი გვეყოლება, რომელთა რიცხვის კვალობაზედ უნდა შესდგეს რაზმები. შავის-ჭირის გარდა, სახადიც საშიში სენია, რომელიც ასე მძინვარებს ტფილისში და იმასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთო.

ექიმი ქანანოვი. ბ-ნ ვართანოვის ნათქვამს უნდა დავსძინო, რომ ხსენებულ სენის და ქუნთრუშის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს: რამდენი ავად გახდა ამ სენით, რამდენი მოკვდა და რამდენია ამ ჟამად ავადაო, საჭიროა, ყოველივე ეს დაუყოვნებლივ შევიტყოთო.

ექ. სტეფანოვი (სასანიტარო საექიმო ინსპექტორი). სახადით ავად გახდა სულ 29 კაცი; ამათ შორის 28 მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს, ხოლო ერთი თავისს სახლშია. სამი გარდაიცვალა, ხოლო საავად მყოფოში 21 კაცია დღეს. სახადიდ ერთობ ბევრი კაცი გამხდარა ავად საპიორების ქუჩაზედ ერთს ტრაქტირში.

ხმ. ევანგულოვი. ჯერ-ჯერობით საბჭომ 45,00 მანეთი გადასდოს და სასანიტარო რაზმების საშუალებით ქალაქის გასუფთავების საქმეს შეუდგეს, ხოლო მოხსენების დანარჩენ მუხლების განხილვას მერეც მოვასწრებთო.

ა. ს. ბაბოვი. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ხმოსანი ექიმი სასანიტარო რაზმში მონაწილეობას არ მიიღებს.

ქქ. ხუდაძოვი. ხმოსანი ექიმები უთუოდ მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ მთელს დროს იმას ვერ მოანდომებენ, რადგან ყველა ჩვენგანი სამსახურშია და კერძო ავადმყოფთაც ვწამლობთ. ექიმების რაზმში ყოფნა კი უთუოდ საჭიროა და ამიტომ ქალაქის თვით-მმართველობის ექიმები უნდა იქმნან იმათში ჩაწერილნიო, ხოლო ჩვენ, ხმოსანი ექიმები, შეძლებისადა კვალობაზედ დავეხმარებით მათო. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ეხლავე სთქვან ხმოსან ექიმებმა, დაეხმარებიან თუ არა რაზმებსაო.

ამის პასუხად არც ერთმა ხმოსანმა ექიმმა არ დასძრა კრინტი.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ა. ივანენკომ მოხსენების ცალ-ცალკე მუხლების წაკითხვა დაიწყო. საბჭომ მოასწრა მხოლოდ 8 მუხლის განხილვა და, მცირეოდენ წვრილმანების გარდა, რვავე შეიწყნარა.

დანაშთენ მუხლების განხილვა გადაიდო დღევანდელის დღისათვის.

## კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება.

5 თებერვალი

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზედ. კრებამ მოისმინა ამა საზოგადოების 17 იანვრის საბჭოს გადაწყვეტილებანი.

წაკითხულ იქმნა: კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის წერილი იმის შესახებ, რომ 1) მაცნობეთ საბაღოსნო სასწავლებლის მოქმედებაო. 2) მთავარ-მართებლის მოწერილობა სუხუმის სამეურნეო საზოგადოების წესდების პროექტთან ერთად იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ გადასინჯოს და შეასწოროს ეს წესდებაო. ამ წერილების გადათვალიერება, საბჭოს მდივანისათვის მიუნდვია; 3) ფოსტა-ტელეგრაფის კანტორათა უფროსის წერილი იმ შინაარსისა, რომ საზოგადოების გაზეთი „Кавк. сел. хоз.“ ამდენს ხანს ხელის მომწერლებს ეგზავნებოდა სახელმწიფო ხარჯით, ხოლო ამიერიდგან სახელმწიფო ხარჯით გაზეთი აღარ გაიგზავნებაო. საბჭოს გადაუწყვეტია: ვთხოვოთ ვისაც ჯერ არს, რომ გაზეთი, როგორც 44 წლის განმავლობაში, აგრეთვე ამიერიდგან სახელმწიფო ხარჯით იგზავნებოდესო; ხოლო სანამ ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნებოდეს, სოფლის მასწავლებლებმა გაზეთის ფასად ორი მანეთი იხადონო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მოხსენება, რომ საჭიროა ღვინის მკეთებელთა საზოგადო კრება მოვახდინოთ შემოდგომაზედ ღვინის კეთების გამაუმჯობესებელ საშუალებათა გამოსარკვევლადაო.

შემდეგ მდივანმა ე. იოსელიანმა განაცხადა: რომ საზოგადოების საბჭომ განიხილაო ჩვენის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თხოვნა, რომელიც თხოულობდა 500 მან. შემწეობა აღმოგვიჩინეთო და საბჭომ 27 იანვარს დაადგინა მხოლოდ 300 მანეთი მიეცესო.

საბჭოს გარდაწყვეტილებას წინააღუდგა ბ-ნი იოსებ ქუთათელაძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქუთაისის განყოფილება ამ ბოლო დროს ძლიერ ბეჯითად ეკიდება საქმეს და რად უნდა დავუკლოთ შემწეობა, როდესაც ჩვენ თვით 6,000 მანეთი გვეძლევაო; ქუთაისის განყოფილება ფრიად ცუდ მდგომარეობაში არისო; შესაძლებელია, ამ მოკლე ხანში ბინაც აღარა ჰქონდესო. ბ-ნ ქუთათელაძის აზრს მიემხრო უმეტესობა და კრებამ დაადგინა მიეცეს ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას 500 მანეთიო.

კრებას მოხსენდა აგრეთვე საბჭოს გარდაწყვეტილება, რომ მეთუთუნეთა საზოგადო კრება იქმნას მოწვეული და დაურიგდეს ყველას პროგრამა იმისი, თუ როგორ შეკრიბონ ცნობები თუთუნის შესახებ.

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის წინადადების შესახებ, რომ ვენახების საექიმო მანქანათა საწყობები გავმართოთ, კრებამ დაადგინა: ვთხოვოთ

თ. ანდრონიკაშვილს, რომ თავისის წინადადების შესახებ საბჭოს დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინოს და ამ მოხსენების განსახილველად ამოირჩიეს კომისია. კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: თვით თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, თ. ვაჩნაძე, პ. ი. ყიფიანი, ა. ფირალოვი და ნ. მ. ტაბატინოვი.

შემდეგ შეუდგნენ 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას და აღმოჩნდა, წინა წლებიდგან დარჩენილით ერთად 1896 წელს შემოსავალი ჰქონია 13,070 მან. საზოგადოებას. უმთავრესი წყარო საზოგადოების შემოსავლისა მთავრობის სუბსიდია ყოფილა. ამავე დროს საზოგადოებას 9645 მან. ხარჯი ჰქონია: მეტ მოსამსახურეთა დაქირავება დასჯდომია 1875 მან., გაზეთის გამოცემა—2600 მან., წიგნების გამოცემა—800 მან., ქუთაისის განყოფილების შემწეობა—500 მან., საბალოსნო სასწავლებელში მოსწავლეთა სტიპენდიები—780 მან., ბაღის შენახვა—1200 მან. დანარჩენი-კი წვრილმან ხარჯს მოსდომებია.

შემდეგ წაკითხულ იქმნა საბალოსნო სასწავლებლის 1897 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომლიდგანაც სჩანს, რომ სასწავლებელი 1897 წლის შემოსავალს მოელის 14095 მ. და გასავალს-კი 13879 მანეთ და 59 კ. ხარჯთ-აღრიცხვის წაკითხვისათანავე ამორჩეულ იქმნა საფინანსო კომისია, ამ ანგარიშის განსახილველად. კომისიის წევრად არჩეულ იქმნენ: ა. ბ. ევანგულოვი, ფიგუროვსკი, დანდუროვი, საფაროვი და ლისნევსკი.

ბ-ნ ა. ს. ფირალოვმა განუცხადა კრებას, რომ საზოგადოების წიგნთსაცავში საჭირო წიგნები სულ არ არის, ამისათვის, ჩემის ფიქრით, კარგი იქნება დავთარი გვქონდეს და იქ აღვნიშნოთ ის წიგნები, რომელთა შეძენას წევრნი საჭიროდა სთვლიანო. ერთმა წევრთაგანმა შემოიტანა წინადადება, რომ წევრებს კრებამდი დაურიგდეს გექტოგრაფიით დაბეჭდილი სმეტის ფურცლები, თორემ არავითარი ღონისძიება არ არის კაცმა დაიმახსოვროს ამდენი მშრალ-მშრალი რიცხვები, რომელთა ცოდნა დიდად საჭიროა წევრთათვისაო.

დასასრულ ამორჩეულ იქმნა ხელთ-საქმის კომიტეტი, რომლის წევრებადაც დასახელებულ იქმნენ ბ-ნნი: ზელინსკი, ფიგუროვსკი, ს. ზავაროვი და ა. ს. ფირალოვი.

---

## სასამართლოს მატიანე

თავ. ა. ო. ჩოლოყაშვილის საქმე.

5 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თავ. აბელ ოთარის ძის ჩოლაყაშვილისა, რომელსაც ბრალადედებოდა, რომ კონსტანტინე გრიგოლიას ძალისძალათი წაართვა აღმასრულებელი ფურცელი, მას შემდეგ, როცა გრიგოლიამ ზედ წარაწერა, ამ ფურცლით სრული კმაყოფილება მივიღეო.

ტფილისის ოლქის სასამართლომ თავ. ჩოლაყაშვილის საქციელი ძარცვად არ იცნო და გაამართლა იგი, მაგრამ ამ გარდაწყვეტილებას ბრალმდებელი არ დათანხმდა და ამიტომ გარდაეცა იგი საქმე სამოსამართლო პალატას.

საქმის მოხსენების შემდეგ ბრალმდებლის ამხანაგმა ხლადოვსკიმ განაცხადა, რომ დამნაშავის საქციელი ძარცვადაც რომ არ ვიცნოთ, თუმცა აშკარაა ძალათი წაურთმევია აღმასრულებელი ფურცელი, მაშინ ეს საქციელი „მაშენიკობა“ იქნება, ე. ი. მოტყუებით წართმევა აღმასრულებელი ფურცლისა იმ მიზეზით, რომ ფულს შემდეგ გარდაგიხდიო.

დამნაშავის ვექილმა ოპოჩინინმა სთქვა მის პასუხად, რომ თავ. ჩოლაყაშვილის საქციელს არც ძარცვა დაერქმევა და არც „მაშენიკობა“, რადგან თვით გრიგოლიამ განაცხადა უკანასკნელად, რომ თავ. ჩოლაყაშვილი სარგებელს არ მაძლევდაო. თავ. ჩოლაყაშვილს გამოურთმევია აღმასრულებელი ფურცელი და უთქვამს, ფულს ხვალ მოგცემო. აქ ქურდულად მითვისება კი არ არის სხვისის საკუთრებისა, არც მოტყუება, არამედ უბრალო დარღვევაა სამოქალაქო უფლებისა. ამიტომ გთხოვთ სრულიად უბრალოდ და უდანაშაულოდ იცნოთ თავ. ჩოლაყაშვილიო.

სამოსამართლო პალატამ დაადგინა: თავ. ჩოლაყაშვილი ცნობილ იქმნას დამნაშავედ, ვითარცა მძარცველი, ჩამოერთვას ყოველივე განსაკუთრებული უფლება და უპირატესობა და ტაბოლსკის გუბერნიაში გაიგზავნოს ისე, რომ ამ გუბერნიიდგან წასვლა სადმე აღკრძალული ჰქონდეს 12 წლის განმავლობაშიო.

---

## ნაწყვეტი

მე ვნახე გმირი დაჭრილი,
ბრძოლის ველს ეგდო, კვდებოდა,
აგონდებოდა ცოლ-შვილი,
მდუღარე ცრემლად დნებოდა,
ახსენდებოდა სამშობლოც,
ვისთვისაც სული ჰხდებოდა,
თვალნი აეპყრო ზეცისკენ,
ძმათთვის ღმერთს ევედრებოდა.

დ. მაჩხანელი

---

## დამაკვირდი

ჭეშმარიტება მით არაფერსა ჰკარგავს, თუ გულ-ფიცხს ჭაბუკს იგი არა სჯერა, როგორც არაფერსა ჰკარგავს სათნოება და სარწმუნოება, თუ ბიწიერი კაცი ერთსაცა და მეორესაც უარჰყოფს.

შილლერი

***

თუ იმ კარგთან, რომელიც მე მინდა გაკეთო, ახლოა ავი და ცუდი, სჯობს იგი კარგი არა ვქმნა.

შილლერი

***

უპირველესი იარაღი შურისა ცილის წამებაა. ცილის წამება, როგორც სულდაბალი კაცის-მკვლელი, მოქმედობს ბნელაში, ან სამალავიდამ ისვრის ისარს, რომელიც აწყლულებს გულს განუკურნებლად. უსამართლობა შეიძლება გასწორდეს, ხოლო რას უზამ იმ ტყუილს, რომელიც ხალხმა უკვე დაიჯერა? თუ სულგრძელობა ითხოვს მძარცავ-ავაზაკისაგან დაიხსნა შენი მოყვასი, რამოდენად უფრო ძლიერ უნდა ითხოვდეს იგივ სულგრძელობა იხსნა ადამიანი ცილის მწამებლისაგან, რომელიც ადამიანს სტაცებს უფრო უდიდეს და უძვირფასეს განძსა, განძს სულიერსა.

ვეისი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ზღაპრებში ხომ მოგხსენებიათ უჩინ-მაჩინის ქუდი. ეს იმისთანა ქუდია, ზღაპრის სიტყვით, რომ, რაკი თავზე დაიხურავთ, თქვენ სხვისთვის უჩინარი ხართ მაშინ, როდესაც თქვენ-კი ყველას და ყველაფერსა ჰხედავთ და ისმენთ. რა თქმა უნდა, ზღაპარი ზღაპრად არის მიჩნეული და უჩინ-მაჩინის ზღაპრული ქუდი დღეს აქამომდე არავისა სჯერა. ხოლო ამ ბოლოს ხანებში ლამის ესეც დასაჯერი გახდეს, თუ მთლად არა, რამოდენადმე მაინც. რამოდენადმე, ვამბობთ, იმიტომ-რომ თუ უჩინ-მაჩინის ქუდი არა, უჩინ-მაჩინის მანქანა მაინც მოუგონიათ, რომელიც, მართალია ყოველ ჟამსა და გარემოებაში ადამიანს უჩინარად არა ჰხდის, როგორც უჩინ-მაჩინის ზღაპრული ქუდი და რომელიც მხოლოდ ერთს შემთხვევაში-კი ამის სამსახურს უწევს ადამიანს.

ნუიორკის გაზეთი და მერე საფრანგეთისა, რომელსაც Nature ჰქვიან, მოგვითხრობენ, რომ შარშან ერთს ამერიკაში დამკვიდრებულს ფრანგს ენფრევილს მოუგონია ერთი იმისთანა მანქანა, რომელიც, თუ ხელთა გაქვთ, თქვენ ღონეს გაძლევთ ძალიან ბნელ ოთახში ყველაფერი კარგად დაინახოთ და თქვენ-კი არავინ გხედავდეთ, თქვენ უჩინარი იყვნეთ, თუ სხვაფრივ რითიმე არ გამოამჟღავნეთ თქვენი ოთახში ყოფნა. რა დიდი რამ არისო, ბძანებთ, რომ ძალიან ბნელ ოთახში კაცი კაცმა ვერ დაინახოსო. მართალია, ეგ დიდი რამ არ არის, მაგრამ დიდი ის არის, რომ თქვენ არა გხედავდნენ და თქვენ-კი ჰხედავდეთ,—რა არის ოთახში და რას აკეთებენ,—უსანთლოდ და ურაოდ. ამით არის შესანიშნავი და საოცარი ხსენებული მანქანა: იმითი შეგიძლიანთ აიტუზოთ ოთახში და მაშინ, როცა ოთახში მყოფი არხეინად არის—არავინა მხედავსო, თქვენ ყველაფერს ჰხედავდეთ და სხვისთვის-კი თქვენ არა სჩანდეთ.

ეს კიდევ არაფერი. ამისთანა მანქანა, ვთქვათ, კარგს საქმეში ბევრად გამოსადეგი არ არის. ხოლო რაკი ადამიანის გონებამ ამ უჩინ-მაჩინობის კვალს მიაგნო, აღარ მოისვენებს, რომ ამ გზაზე ძიება და კვლევა მოიშალოს. ძნელი მოსალოდნელი კია, მაგრამ ვინ იცის,—იქნება ადამიანი იმ დღესაც მოესწროს, რომ ხელთ იმისთანა მანქანა იქონიოს, რომ არამც თუ ბნელ ოთახში, არამედ ყველგან და ყოველს ჟამს მანქანის მქონი უჩინარ იყოს ყველასათვის, საცა-კი გაჩნდება, და თვითონ-კი ყველაფერს ჰხედავდეს და ისმენდეს. ამ საუკუნის საოცარნი აღმოჩენანი ცოტას თუ ბევრს საბუთს გვაძლევენ ვთქვათ, რომ ადამიანის გონების გამჭრიახობას და ძალ-ღონეს სამზღვარი, როგორც ეტყობა, არა ჰქონიათ და ვინ იცის, ეს გამჭრიახობა და ძალ-ღონე ადამიანის გონებისა სად მიგვიყვანს? საკვირველი არ იქნება, რომ ზღაპრული უჩინ-მაჩინის ქუდი ამ სახით, თუ იმ სახით ოდესმე განხორციელდეს. განა ტელეგრაფი, ფონოგრაფი, ტელეფონი და სხვა ამისთანა უჩინ-მაჩინის ქუდზე ნაკლებ არის საკვირველი და საოცარი, მაგრამ მოვესწარით ხომ. რენტგენის სხივებმა უჩინარი დაგვანახვეს და განა ძნელია კაცმა იფიქროს, ახლა იმისთანა სხივები აღმოაჩინონ, რომ იმათმა შუქთა ფენამ ერთი უჩინარ ჰქმნას და მეორე საჩინარ?

განა ესე არ მოქმედობს ზემოხსენებული მანქანა ენფრევილისა, თუმცა-კი მარტო ბნელ ოთახში? იგი შუქს ისე ჰფენს, რომ ოთახში ყველაფერი სჩანს მანქანის მქონესათვის, ხოლო მანქანის მქონეს-კი ჰმალავს სიბნელეში და არ აჩენს. სინათლეშიაც რომ მანქანის მქონი ბნელში გაახვიოს სხვა გზით მოწყობილ შუქთა ფენამ, უჩინ-მაჩინის ქუდიც მზად იქნება. მართალია, ჩვენ ეს შეუძლებლად მიგვაჩნია, მაგრამ განა ცოტა ყოფილა შეუძლებლად მიჩნეული და ბოლოს შესაძლებელად გამხდარიყოს? საქმე კვალის მიგნება და კვალში ჩადგომაა და ადამიანის გონება დღეს იქნება, თუ ხვალ შესაძლებელს იქმს და წინადვე თქმა, აი აქ თავდება შესაძლებელი და იწყება შეუძლებელი, ძნელია. ათასმა მაგალითმა გაუმტყუვნა ადამიანს მაგისთანა წინათქმა. ჩვენ მარტო დაგვრჩენია ვთქვათ: შაბაშ მეცნიერებავ! გაუმარჯოს მხნეობას და თავგაწირულებას შენის მიმდევარისასაო! დღე არ გადის, რომ სამზღვარი შეუძლებლისა შორს არ გადადგა, არ გადიტანო!

***

ყველაზე კარგი ღონისძიება, რომ ბუზი ოთახში აღარ დადგეს და ოთახიდამ გაიცალოთ, დაფნის ზეთია თურმე (ლავროვოე მასლო), რომელიც ყოველ აფთექაში ადვილად საშოვარია. ეს ზეთი უნდა დაასხათ რომელსამე პრტყელ ჭურჭელზე, მაგალითებრ, ლამბაქზე. ლამბაქები ამ ზეთით დასდგით სხვა-და-სხვა ადგილას ოთახში და კარი და ფანჯარა გააღეთ. არ გავა ორი-სამი წუთი და ბუზი მაშინვე სწრაფად გაიხვეტება და გავა და აღარ შემოვა იმ დრომდე, ვიდრე ზეთი იქნება ოთახში. სამზარეულოდამ, ან საკუჭნაოდამ თუ გნებავთ განდევნოთ ბუზი, ეს დაფნის ზეთი წასცხეთ კედლებს და ერთი ბუზიც აღარ დადგება. (ბ. ზ.)

---

# დეპეშა

6 თებერვალი

**ვენა.** „პოლ. კორ.“ იუწყება: „პეტერბურგის კაბინეტმა გამოაცხადა ბელგრადსა და სოფიაში,—რუსეთის იმპერატორი სრულიად დარწმუნებულია, რომ ბალკანეთის სახელმწიფოები ევროპის მშვიდობიანობას არ დაარღვევენო.“

**ვენეცია.** შავის ჭირის წინააღმდეგ დაარსებული საერთაშორისო კონფერენცია დღეს შეუდგა ავსტრი-უნგრეთის მიერ წარმოდგენილ პროგრამის განხილვას. ეს საქმე ჯერჯერობით საიდუმლოდ იქმნება დაცული.

**ლონდონი.** „Times“-ს კანეიდგან დეპეშითატყობინებენ, რომ საბერძნეთის ესკადრას ჯერაც არ მიუცია პასუხი სახელმწიფოთა წინადადებაზედო. „გიდრა“ და ორიც სხვა საფრანგეთის პატარა გემი გამოჩნდა კანეის მახლობლად, მაგრამ ერთი მათგანი მზის ჩასვლამდე ზღვის სივრცეში მიიმალა. მაშინვე იმავე მხარეს გაემართნენ ინგლისის ნალმიანი გემი და საფრანგეთის კრეისერი. რეტიმნოში საქმეთა მდგომარეობა საშიშია. კონსული ჯარებს თხოულობს და შეიარაღებულის ძალით უნდა ქრისტიანეთა სახლები დაიფარონ აკლებისაგან.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთისა და ოსმალეთის საზღვრებზედ კიდევ მიუმატეს ხუთი ბატალიონი. არემ-ნეშადი დაინიშნა საზღვრების მცველის ჯარების მთავარ-სარდლად. ის პარასკევს გაემართება ელასონისაკენ.

**კონსტანტინეპოლი.** ჯერ არც ერთს სახელმწიფოს არ ჩამოუგდია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ევროპის კონფერენცია, ანუ კონგრესი მოვიწვიოთ კრიტის საქმეთა გასარჩევადაო.

**კანეია.** საბერძნეთის მხედრობა ვასსოსის მეთაურობით უწინდებურად სულ რამდენისამე საათის სავალზედ სდგას, მაგრამ ჯერ არა და-უპირებია-რა.

---

## პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | 7.50 | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | — „ | 209 1/2 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101 1/4 | — „ | — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 1/4 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 1/8 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 1/4 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — | — „ | 99 |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 277 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 257 |

---

## გამოსადეგი ცნობანი

სავაჭრო ამბები

—

თერგის ოლქის მმართველობა აცხადებს, რომ ამ სამმართველოში 10-ს მარტს 1897 წ. უკანასკნელი სავაჭრო ვაჭრობაა დანიშნული მდინარე კამბილეევკაზე (ვაკავიდგან 12 ვერსია), მოზდოკის გზაზე, ხის ხიდის გაკეთების იჯარით გასაცემად. ვაჭრობა დაიწყება 3006 მან. 88 კაპეიკიდგან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღების მსურველთ განცხადება უნდა წარადგინონ სავაჭრო დღის 12 საათამდის, თავიანთის ვინაობის ქაღალდი და გირაოდ 601 მ. 38 კაპ.

—

განჯის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის განკარგულებით ახალ დელიჟნის სასოფლო სამმართველოში 5 მარტს 1897 წ. უკანასკნელი ვაჭრობა მოხდება დელიჟნის ტყის 1500 სხვა-და-სხვა გვარის ხის გასასყიდლად. ამ ვაჭრობის შესახებ პირობათა მეტყობა შეიძლება დელიჟნის სატყეო გამგეობაში.

—

კავკასიის ოლქის სამხედრო საინჟინრო მმართველობა აცხადებს, რომ 18 თებერვალს ტფილისში ვაჭრობით გაიცემა საიჯარო საქმე 19,591 მანეთისა. დაწვრილებით პირობათა მეტყობა იქვე შეიძლება.

—

საინტენდანტოს საქონელთა საწყობი ტფილისში 8 თებერვალს ვაჭრობით გასცემს ნავთლუღში ხორცისა და ქონის იჯარას.

—

თერგის ოლქის მმართველობა 19 მარტს მეორედ მოახდენს ვაჭრობას 9623 მან. 17 კაპ. საქმის იჯარად გასაცემად.

—

კავკასიის ოლქის სამხედრო საინჟინრო მმართველობა ტფილისში, 18 თებერვალს, ვაჭრობით გასცემს 117,430 მან. იჯარას სოფელ სორთაგამიშის სამუშაოებისას.

Дозволено цензурою. Тифлись 6 го Февраля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.